ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტების დროის მართვის თავისებურებები

TIME MANAGEMENT PECULIARITIES OF BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY MA STUDENTS

ნატალია ხარაძე
ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე გულუა
ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

NATALIA KHARADZE
PhD in Economics, Associated Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

EKATERINE GULUA
PhD in Economics, Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

ანოტაცია

დროის სწორი გამოყენება, თავისუფალი დროის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი სრულფასოვანი შრომითი რესურსის მიღების საფუძველია. მათი ფსიქიკური თუ ფიზიკური მდგომარეობა დამოკიდებულია დროის სწორ განაწილებაზე.

ნაშრომი ეხება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტების დროის ბიუჯეტის კვლევას.

კვლევა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით 523 მაგისტრზე. ანკეტა მოიცავდა 37 კითხვას და პასუხის 117 ვარიანტს, კვლევის შედეგები დამუშავებულია "SPSS Statistics" პროგრამაში. მსგავსი მასშტაბის კვლევა აღნიშნულ საკითხზე საქართველოში ჩატარდა პირველად.

კვლევის შედეგად დადგინდა თვითმენეჯმენტის კულტურა პოტენციურ და რეალურ შრომით რესურსში; მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *დრო, მეჯეჯმენტი, კვლევა, მაგისტრი, თავისუფალი დრო, თვითმენეჯმენტი.*

Abstract

Proper usage of the time, leisure time management and healthy lifestyle is basic of preparingvaluable work force. Their physical and mental condition depends on proper time management.

The article presents the time management research of MA students' of Batumi Shota Rustaveli State university.

The object of our study was wholly 523 MA students in Georgia. The questionnaire consisted of 37 questions with 117 possible answers. The results of this research are processed by "SPSS Statistics" program. It was the first time that such a large scale research had been conducted in Georgia.

The study has revealed peculiarities of real self-management culture in real and potential labor resources; Based on the analysis the relevant recommendations were developed.

Keywords:*Time, management,research , MA student, leisure time, self-management*

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრის დროის ბიუჯეტის კვლევას და შედარებითი ანალიზს საქართველოს ზოგად სურათთან.რიგ შემთხვევებში, გამოიკვეთა დადებითი ტენდენციასხვა უნივერსიტეტებთან შედარებით.

ანკეტა მოიცავდა 37 კითხვას და პასუხის 117 ვარიანტს, მსგავსი მაშტაბის კვლევა აღნიშნულ საკითხზე საქართველოში ჩატარდა პირველად.კვლევის შედეგები დამუშავებულია "SPSS Statistics" პროგრამაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნულ ფაკულტეტზე ირიცხებოდა 522 მაგისტრი და გამოიკითხა-313; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ირიცხებოდა - 401, გამოიკითხა-11; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირიცხებოდა 40, გამოიკითხა -37; თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირიცხებოდა 99, გამოიკითხა 35 მაგისტრი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოკითხულ რესპოდენტთა 62,9% იყო მდედრობითი, ხოლო 37,1% მამარობითი სქესის წარმომადგენელი.77,1% პირველი კურსის, ხოლო 22,9% - მეორეკურსის მაგისტრი, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მეორე კურსელთა დასაქმების მაჩვენებელი არის მაღალი და ვერ ახერხებებს ლექცია-სემინარებზე დასწრებას. კვლევის საერთო მონაცემებში კი კურსების მიხედვით გამოკითხულ რესპოდენტთა რაოდენობა თითქმის თანაბარია, კერძოდ პირველი კურსი- 51,6%, მეორე კურსი-48,4%.

არსებული დროის რესურსის უკმარისობას მწვავედ განიცდის რესპოდენტთა 81,7% და სრულად ყოფნის დრო მხოლოდ14,3%-ს. აღნიშნული მაჩვენებელი საერთო რესპოდენტთა მონაცების ანალოგიურია, კერძოდ, სრულად ყოფნის დროის რესურსი გამოკითხულ რესპოდენტთა 14,5%, რაც საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ პრობლემა ერთნაირად მტკივნეულია ნებისმიერი მაგისტრანტისთვის.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი,მაგალითად მარკუსი, ჰიუსტონი (Marquis and Huston) და ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, მ.შ. კახაბერ ჯაყელი ემიჯნება იმ აზრს, რომ დრო შეიძლება მართო, რადგან ადამიანებს შეუძლიათ მართონ მხოლოდ მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია დროსთან და არა თვით დრო. ბეიკერი და მასტრიკი (Becker and Mustric) დროის მართვის ორ მიმართულებას განიხილავენ: რაოდენობრივ და ხარისხობრივ ვექტორებს. მაკკეიმ, დრაკერმა და ლეიკინმა (McCay, Drucker, Lakein) მნიშვნელოვანი კვლევები მიუძღვნეს დროის მართვის საკითხებს. მათ შეიმუშავეს დროის მართვის სასწავლო პროგრამები და მეთოდები, როგორიცაა ყველასათვის ცნობილი -„შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხის შედგენის მეთოდი" („to-do lists"), მთავარი მათ შორის არის დროის პროდუქტიულობის განსაზღვრა რა თქმა უნდა იდივიდუალური შესაძლებლობების და პირობების გათვალისწინებით. კვლევის მიზანი სწორედ პროდუქტიულობის დადგენას ემსახურებოდა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოკითხულ მაგისტრანთა 80% არის დასაქმებული და მხოლოდ 20% - დაუსაქმებელი. საერთო კვლევაშიც დაფიქსირდა მსგავსი მონაცემი: დასაქმებული - 81,6% და დაუსაქმებელი - 18,4%-ია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოკითხულ მაგისტრანტთა 60% სრულ განაკვეთზე არის დასაქმებული. ასეთი მაჩვენებლის პირობებში გასაკვირი არ არის, რომ გართულდა რესპოდენტთა გამოკითხვა, რაც ყველა უნივერსიტეტს მეტნაკლებად თანაბრადშეეხება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 82,8% სამუშაო საქმეების გაკეთებას ვერ ახერხებს სახლში და სამუშაო ადგილზე მაქსიმალურად არიან დატვირთულები. სამუშაოს სახლში აგრძელებს მხოლოდ 17,1%, რაც საერთო კვლევის მაჩვენებელს მცირედ აღემატება.თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რესპოდენტთა 34,3% სასწავლო დისციპლინების მომზადებას სამუშაოს ხარჯზე ახდენს (იგივე მაჩვენებელი საერთო კვლევაში 16,8%-ია), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შრომის ორგანიზაციაციის კუთხით გარკვეული ხარვეზები არსებობს.

მაგისტრანტისთვის მნიშვნელოვანი და უპირველესი საქმე განათლება და სწავლაზე დახარჯული დრო უნდა იყოს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულ მაგისტრანტთა 22.9% ამ საქმიანობას დღეში მხოლოდ ერთ საათს უთმობს, რაც სამუშაოზე დატვირთვის მაღალი მაჩვენებლით არის გამოწვეული.სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ სწავლის პროცესში დამატებითი მასალის მომზადებას რესპოდენტთა 28,6% ხშირად ახერხებს და რამოდენიმე უნივერსიტეტის ანალოგიურ მაჩვენებელზე საშუალოდ 11%-ითმეტია. (იხ.დიაგრამა1)



დიაგრამა 1. დამატებითი მასალის გამოყენების და წიგნთან მუშაობის მაჩვენებელი

ლექცია-სემინარებზე დასწრების აქტივობა საკმაოდ დაბალია. კერძოდ, ერთ-ორ ლექციას ესწრება რესპოდენტთა 65%. სხვა საერთო კვლევაში აღნიშნული მაჩვენებელი არის 69,6%. კვლევა აჩვენებს რომ წამყვან უნივერსიტეტებში ლექცია-სემინარებზე დასწრების აქტივობა არის დაბალი, რაც გამოწვეულია მაგისტრანტთა მასობრივი დასაქმებით და დაძაბულობის მაღალი ხარისხით.

სწავლისა და საქმიანობის შეთავსება საკმაოდ რთული პროცესია და დაგემვის გარეშე კიდევ უფრო რთული ხდება. ბათუმის უნივერსიტეტის მაგისტანტთა 62,9% ხშირად გეგმავს სამუშაო დღეს და საერთო მაჩვენებელს 3,1 ერთეულით აღემატება. რაც შეეხება კვირის დაგეგმვას, ხშირად მას მხოლოდ რესპოდენტთა 42,9% ახერხებს და კიდევ უფრო დაბალია დროის დიდი პერიოდის დაგეგმვის მაჩვენებელი. კერძოდ, ერთ წელს გეგმავს - 25,7%. დროის პერიოდის ზრდასთან ერთად დაგეგმვის პროცესზე უარის თქმა ერთნაირად ახასიათებთ რესპოდენტებს ყველა უნივერსიტეტში.

დაზაბული რეჟიმის პირობებში მნიშვნელოვანია თავისუფალი დროის გამოყენება და მართვა ენერგიის აღსადგენად. თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ დასვენების და თავისუფალი დროის მართვის კულტურა არ არსებობს და ხშირშემთხვევაში თავისუფალი დროის ხარჯვა ხდება კომპიუტერთან. რესპოდენტთა 45,7% საერთოდ არ ახდენს თავისუფალი დროის გამონთავისუფლებას ენერგის აღდგენის მიზნით, (იხ. დიაგრამა 2). აღნიშნული მაჩვენებელი საერთო კვლევაში არის 28,9 %. რესპოდენტთა 22,9% აღნიშნავს, რომ არა მხოლოდ დღის მანძილზე არ ახდენენენ თავისუფალი დროით სარგებლობას, არამედ არ/ვერ ახერხებენ შაბათ-კვირას განტვირთვას. ასევე დაბალია სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ხარისხიც. კერძოდ რესპოდენტთა 11,4 % არის დაკავებული სპორტით და მხოლოდ მოყვარულთა დონეზე.



დიაგრამა 2 თავისუფალი დროის მართვა

შრომითი რესურსის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს ჯანსაღი ცხოვრების წესი. შეუძლებელია ძილის დადგენილი რეჟიმის დარღვევის ფონზე ახალგაზრდამ მოახერხოს საკუთარი პოტენციალის სრულად გამოყენება. კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტთა 17,1%-ს ხუთ საათზე ნაკლები სძინავს. მაშინ როცა აღნიშნული მაჩვენებელი საერთო კვლევაში 8,2 %-ია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შედეგი გამოწვეულია რეგიონის თავისებურებიდან გამომდინარე. ტურისტული ზონის რეგიონში მაღალია გართობის საშუალებები ბარებში. აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს, ის ფაქტი რომ 01-02 საათის შემდეგ იძინებს რესპოდენტთა ყველაზე მაღალი პროცენტი, ბათუმის უნივერსიტეტის მაგისტრების შემთხვევაში -31,4%, საერთო კვლევაში კი აღნიშნული მაჩვენებელი 27,7% ია.

ჯანსაღი შრომითი რესურის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს სრულფასოვანი კვება. კვლევამ აჩვენა, რომ სრულფასოვნად 3-4 ჯერ იკვებება რესპოდენტთა 42,9%, რაც საერთო მაჩვენებელზე (27,4%) მაღალია.

სტუდენტურ აქტივობაში ხშირად არის ჩართული რესპოდენტთა მხოლოდ 2,9%, რაც შესაძლოა აიხსნას მათი ოჯახური სტატუსით.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა 25,7% არის დაოჯახებული, მაშინ როცა საერთო კვლევაში ეს მაჩვენებელი 13,8%-ია. მსგავსი მაჩვენებელი დაფიქსირდა თელავის უნივერსიტეტში-25,9%, ხოლო დანარჩენ უნივერსიტეტებში აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად დაბალია.

კვლევის შედეგად დადგინდა რომ გამოკითხულ რესპოდენტთა 54,3% მუშაობს პროფესიის შესაბამისად, 45,7 - კი არა. აღნიშნული პრობლემა ეხება ყველა უნივერსიტეტს.

რესპოდენტთა 34,3%-ს ხშირად უწევს დაგეგმილი საქმის შეცვლა, რაც საერთო კვლევასთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია, მთლიან კვლევაში გამოჩნდა, რომ დაგეგმილი საქმის გადადება და შეცვლა ხშირად მხოლოდ 9,4 %-ს უწევს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უსისტემო მუშაობის მიზეზი შესაძლოა იყოს ის ფაქტი, რომ დაოჯახებულ რესპოდენტთა ყველაზე მაღალი პროცენტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებში დაფიქსირდა.

ტრანსპორტში დახარჯული დრო გაცილებით ნაკლებია ბათუმის უნივერსიტეტის მაგისტრებისათვის. კერძოდ, ერთ სათზე ნაკლებს ხარჯავს რესპოდენტთა 48,6%. საერთო კვლევაში აღნიშული მაჩვენებელი არის 32,9%. აღნიშნული მაჩვენებელი შესაძლოა აიხსნას ქალაქის მასშტაბით.

დროის დანაკარგების მიზეზების ანალიზს ახდენს რესპოდენტთა 42,9%. საერთო კვლევაში აღნიშნული მაჩვენებელი 33,8%-ა. დროის დანაკარგების მიზეზების ანალიზი საშუალებას იძლევა აღმოფხვრან დროის „მტაცებლები" და ოპტიმალურად გაანაწილონ დრო. დროის დანაკარგების მიზეზების გაუთვალისწინებლობის შედეგია ის ფაქტი, რომ 40.0% ერთ საათს ხარჯავს გაუთვალისწინებელი და დაუგეგმავი საქმეების შესრულებაზე, 57,1% კი ერთიდან ორ საათამდე. მსგავსი პრობლემის წინაშე არიან სხვა უნივერსიტეტის მაგისტრანტებიც.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რესპოტენტთა დიდი უმრავლესობა 62,9% აღნიშნავს, რომ გაცილებით მეტ დროს ხარჯავდნენ სწავლაზე ბაკალავრიატში, ვიდრე მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში. მსგავსი ტენდენცია არის დაფიქსირებული ყველა სასწავლო უნივერსიტეტში.

მაგისტრანტთა უპირველესი მოვალეობის (სწავლის) შესაძლებლობა აიძულებთ მათ სწავლასთან ერთად დასაქმდნენ დაამ გზით უზრუნველყონ სწავლის საფასურის გადახდა და ოჯახის რჩენა. კვლევამ დაადასტურა რომ 11,4% იხდის საცხოვრებელში გადასახადს, რაც 2,3-ჯერ ნაკლებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებთან შედარებით (25,9%) და მცირედით ჩამორჩებატრექნიკური უნივერსიტეტის მაჩვენებელს(14,4%).

საყურადღებო აშემდეგი საკითხების კვლევის ანალიზის შედეგებიც: სტუდენტთა ლექცია-სემინარების დასწრებაზე და ლექცია-სემინარების მომზადების დროის ხანგრძლივობაზე ახდენენ თუ არა გავლენას ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სქესი, მუშაობა კერძო ან სახელმწიფო სექტორში, მუშაობა პროფესიის მიხედვით, და სოციალურ ქსელში მუშაობა. ანალიზისთვის გამოვიყენეთ მრავალფაქტორული დისპერსიული ანალიზი (**Multivariate (**Multiple analysis of variance, MANOVA).დისპერიული ანალიზის საფუძველზე მივიღეთ ცხრილები, რომელთა საფუძველზეც მოვახდინეთ სხვადასხვა დაკვნების გამოტანა და ჰიპოთეზების ფორმულირება. ცხრილი 1 გვიჩვენებს, თუ რომელ კონკრეტულ ცვლადზე მოქმედებენ აღნიშნული ფაქტორები. ლევინის ტესტის მიხედვით (ცხრილი 1), სამივე ფაქტორი ერთად გავლენას ახდენს Q11 და Q8 ცვლადებზე და მათთან აღენიშნებათ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი 0,05 დონეზე (P ორივე შემთხვევაში P ნაკლებია 0.05-ზე), ტესტის მიხედვით უფრო მეტ გავლენას ფაქტორები ახდენენ Q11 ცვლადზე. ასე, რომ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ H1 ჰიპოთეზა: ფაქტორთა ერთობლიობა: სქესი, მუშაობა კერძო ან სახელმწიფო სექტორში, და სოციალურ ქსელში მუშაობის დრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცვლადებზე: Q11 - კვირაში დაახლოებით რამდენ ლექციას ესწრებით და Q8 - დღის მანძილზე რა დროს ანდომებთ ლექცია-სემინარების მომზადებას .

ცხრილი 1. ლევინი ტესტი დისპერსიის ერთგვაროვნებაზე

Levene's Test of Equality of Error Variances[a]	F	df1	df2	Sig.
Q10 დღეში რამდენი საათი ხართ ლექციაზე	1.043	27	474	0.408
Q11 კვირაში დაახლოებით რამდენ ლექციას ესწრებით (საათს)?	1.760	27	474	0.011
Q8 დღის მანძილზ ერადროს ანდომებთ ლექცია- სემინარების მომზადებას	1.754	27	474	0.012

ცალკეული ფაქტორების გავლენის შეფასება Q10, Q11 და Q8 ცვლადებზე:

სქესის გავლენა ცვლადებზე: ამ საკითხის გასაანალიზებლად ვისარგებლეთ დისპერსიული ანალიზით მიღებული ცხრილი 2-ის მონაცემებით. ტესტი აჩვენებს, რომ სქესი გავლენას ახდენს Q10 ცვლადზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირით 0,01 დონეზე, და Q8 ცვლადზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირით 0,05 დონეზე, ამასთან, ეტაკოეფიციენტის მიხედვით სქესი Q10 ცვლადზე უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ვიდრე Q8-ზე. შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ H2 ჰიპოთეზა: სქესი გავლენას ახდენს დღეში ლექცია-სემინარებზე დასწრებისა და ლექცია- სემინარების მომზადების დროის ხანგრძლივობაზე.

ცხრილი2 ერთგანზომილებიანი ტესტი / Univariate Tests

Dependent Variable დამოკიდებული ცვლადი		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.	Partial Eta Squared
Q10 დღეში რამდენი საათი ხართ ლექციაზე	სქესი	5,649	1		11,705	0,001	0,024
	ცდ. Error	228,753	474	,483			
Q11 კვირაში დაახლოებით რამდენ ლექციას ესწრებით (საათს)?	სქესი	,010	1	0,01	0,003	0,953	0
	ცდ. Error	1373,825	474				
Q8 დღის მანძილზე რა დროს ანდომებთ ლექცია-სემინარების მომზადებას	სქესი	1,844	1		4,546	0,034	0,009
	Error	192,253	474				

კერძო ან სახელმწიფო სექტორში მუშაობის გავლენის შეფასება Q10, Q11 და Q8 ცვლადებზე. ამ საკითხის გასაანალიზებლად ვისარგებლეთ აგრეთვე დისპერსიული ანალიზით მიღებული ცხრილი 3-ის მონაცემებით, საიდანაც ფორმულირება მივეცით შემდეგ H3 ჰიპოთეზას: კერძო ან სახელმწიფო სექტორში მუშაობა გავლენას ახდენს ლექცია სემინარებზე დასწრების დროსა და ლექცია-სემინარების მომზადების დროის ხანგრძლივობაზე. ამასთან, Q10 ცვლადთან და Q11 ცვლადთან (კვირაში დაახლოებით რამდენ ლექციას ესწრებით (საათს) კერძო ან სახელმწიფო სექტორში მუშაობის ფაქტორს გააჩნია სტატისტიკურად მაქსიმალური კავშირი 0,001 დონეზე (P<0.001), ხოლო Q8 ცვლადთან (დღის მანძილზე რა დროს ანდომებთ ლექცია- სემინარების მომზადებას) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი 0,01 დონეზე (P<0.01). F ტესტისა და Eეტაკოეფიციენტის მიხედვით კერძო,ან სახელმწიფო სექტორში მუშაობა ყველაზე მეტ გავლენას ახდენს Q10 (დღეში რამდენი საათი ხართ ლექციაზე) ცვლადზე.

ცხრილი 3. ერთგანზომილებიანი ტესტი/Univariate Test

დამოკიდებული ცვლადი Dependent Variable		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.	Partial Eta Squared
Q10	სწავლის გარდა, მუშაობთ კერძო ან სახელმწიფო სექტორში?	13,318	1	13,318	27,597	0	0,055
	Error	228,753	474	0,483			
Q11	სწავლის გარდა, მუშაობთ კერძო ან სახელმწიფო სექტორში?	72,747	1	72,747	25,099	0	0,050
	Error	1373,825	474	2,898			
Q8	სწავლის გარდა, მუშაობთ კერძო ან სახელმწიფო სექტორში?	3,109	1	3,109	7,666	0,006	0,016
	Error	192,253	474	0,406			

დისპერსიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა აგრეთვე, დღის მანძილზე სოციალურ ქსელში

მუშაობა გავლენას ახდენს Q11 ცვლადზე (კვირაში დაახლოებით რამდენ ლექციას/საათს ესწრებით) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირით 0,05 დონეზე (ცხრილი 4).

ცხრილი 4. **ერთგანზომილებიანი ტესტი/ Univariate**Tests

Dependent Variable დამოკიდებული ცვლადი		Sum of Squares	df		F	Sig.	Partial Eta Squared
Q10	დღის მანძილზე რა დროს ატარებთ სოციალურ ქსელში?	1,334	3	0,445	0,921	0,430	0,006
	Error/ცდომილება	228,753	474	0,483			
Q11	დღის მანძილზე რა დროს ატარებთ სოციალურ ქსელში?	25,559	3	8,520	2,939	0,033	0,018
	Error/ცდომილება	1373,825	474	2,898			
Q8	დღის მანძილზე რა დროს ატარებთ სოციალურ ქსელში?	1,842	3	0,614	1,514	0,210	0,009
	Error/ცდომილება	192,253	474	0,406			

აღნიშნულმა კვლევით გამოვლინდა უამრავი პრობლემა, რომელიც აგრეთვე მოითხოვს სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ჩართვას და რეკომენდაციების შემუშავებას. ამ მიზნით კვლევა გადაეცა ექიმებსა და ფსიქოლოგებს. ჩვენი მხრივ შგვიძლია დავასკვნათ, რომ დროის მენეჯმენტისადმი არასათანადო დამოკიდებულება ქმნის უამრავ პრობლემას და მიზანშეწონილად მიგვაჩვინა საბაკალავრო დონეზე თვითმენეჯმენტისა და დროის მენეჯმენტის საკითხების შესწავლის დანერგვა. დასაქმებული მაგისტრანტების სრული განაკვეთით დასაქმების შეზღუდვა; სამაგისტრო სწავლებით უნდა დაკავდნენ მეცნიერებით დაინტერესებული სტუდენტები.

ლიტერატურა/REFERENCES

1 ხარაძე ნ., ბადრიძე ვ., „სტუდენტის დროის ბიუჯეტი“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2004 წ;2

2 შუნ ძი, ,,ომის ხელოვნება”, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2007;

3 TracyB, TIME POWER, AMACOM,London 2007;4

5 Chapman S. Rupured W. M., Time Managarment, The University of Georgia, Tbilisi 2008;

6 Ward S., Time Management: From the Factory Floor to Our Daily Lives, 2016;

7 Kerzner H., “Project Management: A Systems Approach to Planning, Scheduling, and Controlling” John Wiley & Sons ,2009;

8 Marquis, B.L. & Huston, C.J. “Leadership roles and management functions in nursing: theory and application” Wolters Kluwer Health, 2009;

9 Morgenstern J., Time Management from the Inside Out. 2000;

10 Becker, H & Mustric, F. “Can I Have 5 Minutes of Your Time?” Morgan James Publishing, 2008.

11 Mancini, M. “Time Management: 24 Techniques to Make Each Minute Work” Mc Grow-Hill 2007, p.8;

12 Mc Cay, J. The Management of Time, Prentice Hall, Englewood Cliffs, NJ. 1959
http://www.studygs.net/timman.htm;
http://www.topuniversities.com/blog/7-time-management-tips-students;
https://bigfuture.collegeboard.org/get-started/inside-the-classroom/8-ways-to-take-control-of-your-time.